# ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა № 9

ქ. კასპი 21 თებერვალი 2020 წელი

ერთის მხრივ, ი.მ „ჯონი ბუღულაშვილი“ შემდგომში „შემსრულებელი“ და მეორეს მხრივ კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ **კოდისწყაროს საჯარო სკოლის** დირექტორი რუიზან დვალიძე, შემდგომში „დამკვეთი“ წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე თანხმდებიან შემდეგზე:

## 1 .ხელშეკრულების საგანი

1. დამკვეთის მოთხოვნის შემთხვევაში საჭირო საკანცელარიო საქონლით, მეხსიერების ბარათით და კატრიჯის უზრუნველყოფა ხელშეკრულების მთლიანი ღირებულება შეადგენს 160,00 (ასსამოცი ლარი და 00 თეთრი) ლარს.

## 2. საქონლის მიწოდების (მომსახურეობის გაწევის) წესი და ღირებულება

2.1. საკანცელარიო საქონლის ღირებულება განისაზღვრება შესაბამისი სარეალიზაციო ფასით.

## 3. ანგარიშსწორება მხარეთა შორის

3.1. ანგარიშსწორება მხარეთა შორის ხორციელდება გადარიცხვით ან ნაღდი ანგარიშსწორებით;

3.2. ანგარიშსწორება წარმოებს ლარებში.

3.3. ანგარიშსწორება წარმოებს სახ. შესყიდვების სააგენტოს მითითებული რვანიშნა კოდით 22800000, 30200000.

## 4. მხარეთა ვალდებულებები

4.1. <u>დამკვეთი კისრულობს ვალდებულებას</u>:

4.1.1. თანხის ნაღდი ანგარიშსწორებით ან გადარიცხვით გადახდაზე.

4.2. <u>შემსრულებელი კისრულობს ვალდებულებას:</u>

4.2.1. მოთხოვნის შემთხვევაში მოახდინოს საჭირო საკანცელარიო საქონლით უზრუნველყოფა.

## 5. მხარეთა პასუხისმგებლობა

5.1. <u>დამკვეთი პასუხისმგებელია:</u>

5.1.1. შემსრულებელს გადასცეს თანხა ნაღდი ანგარიშსწორებით ან გადარიცხვით.

5. 2. <u>შემსრულებელი პასუხისმგებელია:</u>

5.2.1. საკანცელარიო საქონლის დროულად მიწოდებაზე.

## 7. ხელშეკრულების ძალაში შესვლა და მოქმედების ვადები

7.1. ხელშეკრულება ძალაში შედის 2020 წლის 21 თებერვლიდან და მოქმედებს 2020 წლის 29 თებერვლის ჩათვლით.

## 8. ზოგადი დებულებები

8.1. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება, მეორე მხარისაგან წერილობითი თანხმობის გარეშე თავისი უფლებები ან ვალდებულებები გაასხვისოს ან გადასცეს მესამე პირებს.

8.2. ხელშეკრულებაში ცვლილებები და დამატებები შეიძლება შეტანილი იქნეს ორივე მხარის წერილობითი თანხმობით.

8.3. მხარეები თანხმდებიან, რომ ის ურთიერთობანი, რომელიც არ იქნა რეგლამენტირებული წინამდებარე ხელშეკრულებით, რეგულირებული უნდა იყოს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

8.4. ხელშეკრულება შედგენილია ორ ეგზემპლიარად და ორივე ტექსტს თანაბარი იურიდიული ძალა აქვს.

## 9. ფორს – მაჟორი

9.1. ხელშეკრულების პირობების ან რომელიმე მათგანის მოქმედების შეჩერება ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის გამო არ იქნება განხილული როგორც ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან დარღვევა და არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას და მიმწოდებლისათვის ხელშეკრულების შესრულების გარანტიის დაუბრუნებლობას.

9.2. ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი“ ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემკვეთსა, ან მენარდეს შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

9.3. ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყონებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება საეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობის მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები რომლებიც დამოუკიდებელნი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

## 10. დავათა განხილვის წესი.

10.1. მხარეები შეეცდებიან ურთიერთმოლაპარაკების საფუძველზე გადაჭრან დავები. იმ შემთხვევაში, თუ ისინი ვერ გადაჭრიან დავას, იგი განიხილება სასამართლოს მიერ.

## 11. მხარეთა რეკვიზიტები

**„დამკვეთი“**

სსიპ კასპის მუნიციპალიტეტის სოფელ კოდისწყაროს საჯარო სკოლა

საბანკო რეკვიზიტები: სს „ლიბერთი ბანკის“

კასპის ფილიალი. ბ/კ LBRTGE22

ს/კ 232550806

ა/ნ GE87LB0121119313401000

**„შემსრულებელი“**

**ი.მ „ჯონი ბუღულაშვილი“**

ს/კ 01002022489

სს „თიბისი ბანკი“ კასპის ფილიალი

ა/ნ GE09TB7243845064300007

ბანკის კოდი : TBCBGE22

| **„დამკვეთი“** | **„შემსრულებელი“** |
|---|---|
| სსიპ კასპის მუნიციპალიტეტის კოდისწყაროს საჯარო სკოლის დირექტორი: | ი.მ „ჯონი ბუღულაშვილი“ |
| | Joni Bughulashvili<br>Digitally signed by Joni Bughulashvili<br>Date: 2020.02.21 12:59:38 +04'00' |
| რუიზან დვალიძე | ჯონი ბუღულაშვილი |